

კავკასია



გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მეოთხე
2008, №6, ივნისი

გამოშვების თემა: ლიდერთა მე-10 გლობალური ფორუმი

ლიდერთა გლობალური ფორუმი დაწესდა 1997 წელს. ფორუმი წარმოადგენს სხვადასხვა სექტორის პრაქტიკოს ლიდერთა და მკვლევართა თანამშრომლობას, რომლებიც იზიარებენ ადამიანის განვითარებისაკენ მიმართულ ლიდერობის კონცეფციას.

დაწვრილებით ფორუმების შესახებ:

<http://www.sapanet.ru/Confer.aspx?page=/Forum10/GLF10RU.inc>

ლიდერობა და გლობალიზაცია:



რისკები და შესაძლებლობები

ნახატები და ციტატები



ლიდერთა ფორუმიდან

გლობალიზაცია – მაინც რა არის მასში მეტი: საფრთხე თუ შესაძლებლობები?

ლიდერობა – ეს ძალაუფლების კატეგორიაა თუ მორალის კატეგორია?

ძალაუფლება და მორალი – როგორ გავაერთიანოთ შეუსაბამობები?

რას ნიშნავს იყო **ლიდერი** გლობალიზაციის ეპოქაში?

რას ნიშნავს – **ლიდერი-ქვეყანა**?

როგორია **წარმატების** კრიტერიუმები?

ჩვენი **პოლიტიკური ლიდერები** – ნამდვილები თუ „შექმნილები“?

როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს **გლობალური და ეროვნული, ლოკალური, ადგილობრივი**?

და საერთოდ: როგორ მოვახერხოთ, რომ არა მარტო ავყვეთ გლობალიზაციის ქარს, არამედ გამოვიყენოთ იგი ჩვენი საჭიროებებისათვის?!


ადელ საფტი, ლიდერთა გლობალური ფორუმის პრეზიდენტი ვიკიპოთ სწორი სტრატეგიები



- მსო-ს გენერალური დირექტორი პასკალ ლამი იძულებული იყო ეღიარებინა: გლობალიზაცია აძლიერებს ძლიერებს და კიდევ უფრო ასუსტებს სუსტებს. აშშ-ს ზეგავლენა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე გვაძლევს საბაბს ვისაუბროთ აშშ-ს გლობალურ ძალაუფლებაზე. რაც უფრო წარმომადგენლობითია ორგანიზაცია (მაგ. გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო), მით უფრო ნაკლები აქვთ ძალა. ასეთია რეალობა. ნახევარ მილიონზე მეტი ქალი ყოველწლიურად იხოცება იმ გართულებებისაგან, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო; პლანეტის მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი ანტიისანიტარიაში ცხოვრობს და შიშშია; იზრდება უთანასწორობა შემოსავალთა გადანაწილებაში. გლობალიზაციას ძალზე ბევრი გამოწვევა მოაქვს კაცობრიობისათვის, მას აუცილებლად სჭირდება სწორი სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მინიმუმამდე დაგვეყვანა საფრთხეები და სამყარო უფრო ჰარმონიული გაგვეხადა. ამისათვის საჭიროა ლიდერები, თავდადებულები ადამიანთა განვითარებისათვის, მხოლოდ ისინი არიან ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების გარანტია.

ვერა მენშოვა, სახელმწიფო სამსახურის ციმბირის აკადემია, რუსეთი კადრები ყვეტენ ყველაფერს

- დიახ, კადრები წყვეტენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ადამიანები შეესაბამებიან ცვალებად პირობებს. ერთი ჩვენი გამოკვლევის მონაცემების თანახმად, ხელისუფლების ორგანოების საკადრო სამსახურების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მხოლოდ 13%-მა გაიარა პროფესიული გადამზადება... განა შეიძლება აქ დარწმუნებულნი ვიყოთ ადმინისტრაციული რეფორმის წარმატებაში?



სხვათა შორის



პროფესორმა ადელ საფტმა, იუნესკოს ლიდერობის კათედრის დამაარსებელმა, ფასეული ლიდერობის დისციპლინათაშორისი და კულტურათაშორისი კონცეფციის წინ წამოსაწევად დააწესა ლიდერთა გლობალური ფორუმი იმ დროს, როცა იგი გაეროს მისიის ხელმძღვანელი და ლიდერობის აკადემიის დირექტორი იყო გაეროს უნივერსიტეტში აშშ-ში, იორდანია (1997-98 წწ). 2001-2006 წლებში ლიდერთა გლობალური ფორუმის ჩატარების ადგილი იყო სტამბოლი, თურქეთი. 2007 წელს ლიდერთა მე-9 გლობალური ფორუმი პირველად ჩატარდა რუსეთში, ნოვოსიბირსკში, ციმბირის სახელმწიფო სამსახურის აკადემიაში. მე-9 ფორუმის თემა „ლიდერობა და საზოგადოებრივი სამსახური“ 100-ზე მეტი მონაწილე მიიზიდა 10 ქვეყნიდან.

ევგენი ბოიკო,
ციმბირის სახელმწიფო სამსახურის აკადემიის რექტორი,
რუსეთი:

ასალი კათედრა

- დღეს ჩვენ ოფიციალურად ვხსნით ჩვენს უნივერსიტეტში იუნესკოს კათედრის ფილიალს. ასეთი გადაწყვეტილება ერთსულოვნად გამოიტანა რუსეთის ფედერაციის იუნესკოს კათედრების საკოორდინაციო საბჭომ. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავზარდოთ საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები, გავაძლიეროთ კულტურული გაცვლა, განვამტკიცოთ საერთო ჰუმანიტარული ფონი არა მარტო უმაღლეს სასწავლებელში, არამედ რეგიონშიც.



ნადეჟდა ლატრიგინა,
არასამთავრობო გაერთიანება ЖИТО:



ლიდერები ოჯახში იზრდებიან

- თუ ჩვენ გვინდა მომავალში ნამდვილი ლიდერები გვყავდეს, ბევრი და ძლიერი, ისინი დაბადებიდანვე უნდა აღზარდოთ. სად? – ოჯახში. მათი აღზრდისათვის დახარჯული შრომა შესაბამისად უნდა ანაზღაურდეს, გახდეს პრესტიჟული, სასიხარულო.

ელენა მარჩუკი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
რუსეთი

ვინ უნდა გაიტანოს ნაბავი?

- გლობალური პრობლემების გადასაჭრელად ზოგჯერ სულაც არ არის საჭირო „გლობალური“ აზროვნება. უბრალოდ, უნდა ავიღოთ ტომრები და გავიტანოთ ნაგავი. ჩვენთან, ალტაიზე, ამას აშშ-დან ჩამოსული აქტივისტი აკეთებს, ადგილობრივი საზოგადოებრივი ლიდერები კი მეტისმეტად გლობალურ კატეგორიებზე ფიქრს არჩევენ...



რუდი ჯეიში, გაერთიანებული მკვიდრი ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ალასკა, აშშ:

„აბორიგენი“ – ცუდი სიტყვაა



- ჩვენ – მკვიდრი მოსახლეობა ვართ და არა „აბორიგენები“. ალასკაზე, ციმბირში თუ სხვაგან – ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა განუმეორებელი კულტურა ამ მიწაზე იშვა. გლობალიზაცია მკვიდრი ერებისათვის ამ ხალხის დრამებსა და ტრაგედიებთანაა დაკავშირებული. მიწა – ჩვენი უძველესი რესურსია, და ჩვენ უნდა ვისწავლოთ მასზე ჩვენი უფლებების დაცვა. მე ამერიკელ უმცირესობათა ადამიანის უფლებების საერთაშორისო ასოციაციის მმართველთა საბჭოს (IHRAAM) წევრი ვარ. ამ არასამთავრობო ორგანიზაციას გაეროში საკონსულტაციო სტატუსი აქვს. IHRAAM საერთაშორისო სამართლის გამოყენებით ლობირებას უწევს მკვიდრი მოსახლეობის სამოქალაქო უფლებებს. მე ვმუშაობ, აგრეთვე, როგორც ალასკის ტომობრივი საბჭოს წარმომადგენელი IHRAAM-ში. მე დარწმუნებული ვარ: მკვიდრმა მოსახლეობამ უფრო აქტიურად უნდა წამოსწიოს თავისი წარმომადგენლები გადაწყვეტილებათა მიღების დონეებზე.

**გამალ ელხაზინდარი,
ადამიანური რესურსების განვითარების ინსტიტუტი, დუბაი:**

წარმატების მარათონი: ვინა ხარ – ირემი თუ ლომი?

- ირემი აფრიკაში ყოველ დღით იმ ფიქრით იღვიძებს, რომ ყველაზე სწრაფ ლომს უნდა გაუსწროს, თორემ მოკვდება.. ლომი იღვიძებს და ფიქრობს, როგორ დაეწიოს ყველაზე ზანტ ირემს, რათა შიმშილით არ მოკვდეს... მეგაპოლისი დუბაი აიძულებს არაბთა გაერთიანებულ ემირატებს მიიღოს გლობალური რბოლის წესები. დუბაი ხომ დღეს ადგილია, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ კომპანიათა მეოთხედი
- ეს 20 თავისუფალი ეკონომიკური ზონაა იმპორტსა და ექსპორტზე ბაჟისაგან სრული გათავისუფლებით
- ეს აეროპორტია, სადაც თვითმფრინავები ემშვიდებიან და ჰაერში აღიან ყოველ 3 წუთში. დუბაის ქვეყნის მთავარი ქალაქის სტატუსი აქვს, იგი მიმზიდველია მთელი მსოფლიოს ნათელი გონებისა და ბიზნესმენებისათვის. იგი პრეტენზიას აცხადებს რეგიონული ლიდერის როლზე და აქვს ამბიცია გახდეს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ცენტრი.



ივანა მროზკოვა, პალასის უნივერსიტეტი, ჩეხეთი: **ლიდერი მანდატით?**



– ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებს ბევრი ნაკლი აქვთ მორალური თვალსაზრისით, ყოველთვის ვერც პროფესიონალიზმით დაიკვენიან, არც კრიმინალური კავშირებისაგან არიან თავისუფალნი...
თუმცა, რატომღაც, ყველაფერი ეს მათ ხელს არ უშლის დარჩენ „ლიდერებად“. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ მათი უმრავლესობა – მამაკაცია. ჩვენს ეროვნულ პარლამენტში, მაგალითად, ქალები – 15%-ია, რეგიონულ მთავრობებში – 14%, ადგილობრივ თვითმმართველობაში – 22...

ჯონ რეიმენტი, Anglia Ruskin უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი **რა გველის?**

ნუთუ ძალაუფლების გაყოფა მოგვიწევს?!

– ადამიანისათვის აუცილებელია მყარი, სამართლიანი და გამართლებული არსებობა პლანეტაზე! ამ გზაზე ბევრი გამოწვევაა. ერთ-ერთი მათგანი – ფემინიზმია, იგი სერიოზული გამოცდაა მამაკაცებისათვის.
ქალები თავდაუზოგავად ისწრაფვიან წინ, კარიერისაკენ, ძალაუფლებისაკენ, წარმატებისაკენ. ისინი ერთიანდებიან, ერთმანეთს მხარში უდგანან.
მამაკაცები თავს მყუდროდ ვერ გრძნობენ. როგორი მომავალი გველის ჩვენ, მამაკაცებს?



სხვათა შორის



ლიდერთა გლობალური ფორუმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლიდერობისადმი შინაარსიან მიდგომას სახელმწიფო პოლიტიკაში, კერძო სექტორში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მოქალაქეთა ასოციაციებში. იგი წინ სწევს ღირსეულ ლიდერობას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მშვიდობასთან, დემოკრატიასა და ადამიანთა განვითარებასთან.



**ნელი ვლასოვა,
ბიზნეს-ოსტატობის ცენტრი
„ქარიზმა“, რუსეთი:
ბასდი ლიდერი!**

– ლიდერს მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ნიშანი აქვს: მას მიჰყვებიან. ჩვენ კი ძირითადად მეთაურები, უკეთეს შემთხვევაში, კარგი მენეჯერები გვყავს. ნამდვილი ლიდერები – ცოტაა. ლიდერობა – წინამძღოლობას ნიშნავს, როცა შენი სულიერების ძალას, შენგან გამოსხივებულ იმპულსებს მიჰყვებიან. ეს მსოფლმხედველობითი საგნებია, მათი შექმნა შეიძლება. ადამიანს საკუთარი თავის გარდაქმნის გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ეს გვგონია.

**მარინა გორლოვა,
კონსალტინგ-ცენტრი „ინფორმაცია და დრო“, რუსეთი:**

გადარჩენა კი არა – გამარჯვება

–ჩვენში უმეტესობას „გადარჩენის აზროვნება“ აქვს. ჩვენ იმ სისტემის კოლაფსითა ვართ ტრავმირებული, რომელშიც ვცხვობოდით, წარუმატებლობით, დაძაბულობით, ტრანზიტის გახანგრძლივებული მდგომარეობით. ჩვენ არ გვყოფნის საკუთარი ძალების რწმენა, სიმტკიცე, პოზიტიური ხედვა.

„გადარჩენის“ აზროვნება უნდა შეიცვალოს „მდიდრულით“! ანუ – დავიბრუნოთ საკუთარი თავის რწმენა, შემოქმედებითი აზროვნება, ოპტიმიზმი და პოზიტიური ხედვა.


საშუალო კლასის ლიდერებს, ძირითადად, „გადარჩენის“ აზროვნება აქვთ, ისინი გაფანტულნი არიან, მათი თვითშეგნება, როგორც მესაკუთრე კლასისა, ჯერ ფორმირებული არ არის. იგი უნდა შეიქმნას პირად და ჯგუფურ დონეებზე აქტიური თანასაზოგადოების ჩამოყალიბებით.

გადარჩენის აზროვნების დაძლევის გზები მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვეძებოთ.



**ქეროლ ჰილტნერი,
საზოგადოებრივი ორგანიზაცია „უნივერსიტეტი „ალტაი-მირ“,
აშშ:**

მოსემინსა და უმბრკნების უნარი



– დედამიწაზე არსებობს ნაკრძალი ადგილები საკრალური მნიშვნელობით. ერთ-ერთი მათგანი – ალტაია. ეს პლანეტის ერთ-ერთი აკუპუნქტურული წერტილია, მნიშვნელოვანი თავად პლანეტის და ჩვენი, ადამიანების, ჯანმრთელობისათვის. იყო ლიდერი დღეს – ეს ნიშნავს იზრუნო გლობალურ სულიერ კეთილდღეობაზე. ეს სასაზღვრო დონეა, აქ ერთმანეთს ესაზღვრება მორალი, ეკოლოგია, ფილოსოფია, სულიერება, ასტრალური ცოდნა, აღმოსავლური სწავლებები, ასევე ადამიანის უნარი, მოუსმინოს საკუთარ თავს, ირგვლივ მყოფთ და ბუნებას.

**ნინა გონჩაროვა,
ევრაზიული პროექტების ციმბირის ცენტრი, რუსეთი:**

მუვიდობა, ჰარმონია და საყოველთაო სიყვარული – უტოპია როდია

– ჩვენი მიზანია, შეგნებულად შევიდეთ ახალ დროში (ნოსოფეროში), მთელი დედამიწის მოსახლეობის ერთიანი კოლექტიური შეგნების შექმნით, რომელიც შეძლებს პასუხისმგებლობის აღებას სიცოცხლეზე და გახდება მშვიდობის, ჰარმონიისა და სიყვარულის თანაშემქმნელი. მსოფლიოში ბევრი ჰუმანიტარული ფონდი და ორგანიზაციაა, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ? ჩამოვყავალიბოთ მითითებები, რომლებიც მშვიდობის, სიყვარულისა და ჰარმონიისაკენ წავგვიყვანს. გამოვიმუშაოთ იმპულსები, რომლებსაც მშვიდობის, სიყვარულისა და ჰარმონიისაკენ მივყავართ. ამისათვის მრავალი საშუალება არსებობს: კულტურული გაცვლა, განათლება, თანამედროვე კომუნიკაციები.



სხვათა შორის



10 წლის განმავლობაში ფორუმი კრებს სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერებს, მაღალი დონის ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, როგორცაა გაერო და მსოფლიო ბანკი, ცნობილ მეცნიერებს, სტუდენტებსა და სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებს მთელი მსოფლიოდან, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრებს.

მარინა ტიასტო, ციმბირის სახელმწიფო სამსახურის აკადემია, რუსეთი „ღია სივრცე“ – ეს გარდაქმნის ხელსაწყოა



სამოქალაქო დიპლომატია – უზარმაზარი ძალაა, იგი ნებისმიერ ჯგუფს გადალახავს და ყველა დაბრკოლების დაძლევა შეუძლია. იგი სხვადასხვა კულტურას ერთმანეთის უკეთ გაგების საშუალებას აძლევს. ეს გამაერთიანებელი ძალაა, კაცობრიობის საკეთილდღეო, და იგი უნდა გაიზარდოს – იმისათვის, რათა რეალურად მოახდინოს ზემოქმედება კაცობრიობის განვითარებაზე. მას გაერთიანების ბევრი ფორმა აქვს, ერთ-ერთი მათგანია – მეთოდოლოგია „ღია სივრცე“, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ათასობით ადამიანი მუშაობს.



სხვათა შორის:

კოლექტიური გონებრივი შტურმი ფორუმის დროს ღია სივრცის მეთოდოლოგიით.

ამისათვის საჭიროა:

... ღია ოთახი:



... ღია პროგრამა:



... და გახსნილი ხალხი:



... და მაშინ კრეატიული მიდგომები ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად თავისთავად ჩამოყალიბდება!

**გაღინა პეტრიაშვილი,
ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერმედიაკავკასია“,
საქართველო:**

გლობალიზაცია ქალებისათვის

იგი ცეცხლივითაა – უბედურებაც მოაქვს და სიკეთეც. გლობალიზაცია მრავალ რისკს შეიცავს: ზეწოლა, ფუნდამენტალიზმი, ტრეფიკინგი, ექსპლოატაცია. მაგრამ იგი დამატებით საშუალებებსც იძლევა. გლობალურ სამყაროს სურს თავი რესპექტაბელურად მოგვაჩვენოს – დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნის მიხედვით სულ უფრო დასაგმობი ხდება. ამ კუთხით გლობალიზაცია ქალთა მოკავშირედ გვევლინება: მან ჩვენი ინტერესების დამცველი საერთაშორისო ინსტიტუტები და დოკუმენტები მოგვცა, გლობალური ქსელური თანამშრომლობა გვასწავლა.



ქალთა ლიდერობის პრობლემას საზოგადოება ჯერ ვერ ჩასწავლა. დარწმუნებული ვარ, რომ გზა სამყაროს ჰარმონიისაკენ სწორედ ამ მიმართულებით გადის, და გთავაზობთ, ერთი მომავალი ლიდერთა გლობალური ფორუმი ამ თემას მიეძღვნას – ლიდერობას თავის გენდერულ ასპექტში.

სხვათა შორის



ლიდერთა გლობალური ფორუმის მუდმივმოქმედი საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი:

ადელ საფტი, ლიდერთა გლობალური ფორუმის პრეზიდენტი

ქეროლ ალლაისი, სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტი, პრეტორია

ევგენი ბოიკო, სახელმწიფო სამსახურის ციმბირის აკადემია, ნოვოსიბირსკი, რუსეთი

ზაფიზა ვოლანდასი, ლიდერობისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ალიანსი, მუმბაი, ინდოეთი

მარინა ტიასტო, სახელმწიფო სამსახურის ციმბირის აკადემია, ნოვოსიბირსკი, რუსეთი

ლენგ ზი ხიანი, ამერიკათაშორისი ეკონომიკური საბჭო, სინგაპური

მანსურ ელაგაბი, პარლამენტის წევრი, სუდანი

ლეო ბრუნო, ლიდერობის განვითარების ცენტრი, დომ კაბრალის ფონდი, ბრაზილია



მარინა ტიასტო და ადელ საფტი:

„შეხვედრამდე ერთი წლის შემდეგ, ბრაზილიაში!“

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99595 41 21 70, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ფოტო:

ოლგა ლაპტევა, რუსეთი
გალინა პეტრიაშვილი, საქართველო

დიზაინი და დაკაბდონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კ@ვკაზიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

საერთაშორისო კოალიცია
კავკაზია

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელების ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია

გენდერმედიაკავკასია

www.gmc.ge

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 27 70 33; (995 99) 90 11 24